

ლექცია

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის
აღდგენის დღიდან (1991-2021 წწ.)

ლევან მიქელაძის დიპლომატიური
ინსტიტუტის მკვლევარი, ელჩი მიხეილ უკლება
2021 წლის 5 თებერვალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პასუხისმგებლობა პოსტსაბჭოთა სივრცეში დასავლეთის მიერ დაეკისრა რუსეთს, როგორც საბჭოთა კავშირის პირდაპირ სამართალმემკვიდრეს და რადგანაც ის იყო ყველაზე დიდი სახელმწიფო ამ სივრცეში მოსახლეობით, ტერიტორიითა და რესურსებით, აგრეთვე იყო გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი და მოგვიანებით გახდა ერთადერთი ბირთვული სახელმწიფო პოსტსაბჭოთა სივრცეში და რეგიონში, რადგანაც ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა უკრაინამ, ბელორუსიამ და ყაზახეთმა დასავლეთის ზეწოლით მას გადასცეს საბჭოთა კავშირისგან დარჩენილი ბირთვული იარაღი, ე.წ. ბუდაპეშტის მემორანდუმით, რომლითაც ამ ქვეყნებს ეძლეოდათ გარანტია მათი ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების, რაც რუსეთმა დაარღვია 2014 წელს უკრაინასთან მიმართებაში, როდესაც გარანტორების როლში რუსეთის გარდა იყვნენ აშშ და დიდი ბრიტანეთი.

დიდი მოლოდინი იყო, რომ თავისუფალი და დამოუკიდებელი რუსეთი თავს დააღწევდა საბჭოთა ტოტალიტარულ სისტემას, რომელსაც პრეზიდენტ რეიგანის ცნობილი გამონათქვამით „ბოროტების იმპერიას“ უწოდებდნენ და პირდაპირი გაგებით არ გახდებოდა მისი სამართალმემკვიდრე, თანაც რუსეთში 1991-1993 წლებში მოხდა 2 გადატრიალების მცდელობა ე.წ. პუტჩი, რაც საბოლოოდ, პრეზიდენტ ელცინის და მისი მომხრეების გამარჯვებით დასრულდა და ყველას, არამარტო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, არამედ დასავლეთსაც, ჯერ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის და შემდეგ პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაციას იმედი გაუჩნდათ, რომ რუსეთი დაადგებოდა დემოკრატიისა და რეფორმების გზას.

1992 წლის 17 ივნისს, რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი გამოვიდა ეპოქალური სიტყვით ამერიკის კონგრესში, სადაც მან განაცხადა: “მე მაქვს დიდი პატივი გამოვიდე დიადი, თავისუფალი ქვეყნის კონგრესში, როგორც საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტი, როგორც მოქალაქე დიდი სახელმწიფოსი, რომელმაც გააკეთა არჩევანი თავისუფლებისა და დემოკრატიის სასარგებლოდ. კომუნიზმი, რომელიც ყველგან მიწაზე თესავდა შულს, დაპირისპირებას, იჩენდა უმაგალითო სისასტიკეს და აშინებდა კაცობრიობას, დაინგრა და დაინგრა სამუდამოდ და მე ვარ აქ თქვენ წინაშე იმიტომ, რომ დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ არ მივცემთ შესაძლებლობას, რომ ის ისევ აღდგეს და აღორძინდეს. როგორც განვლილმა ათწლეულებმა გვასწავლეს, კომუნიზმს არა აქვს ადამიანური სახე, თავისუფლება და კომუნიზმი შეუთავსებადია. ჩვენ ვგრძნობთ კოლოსალურ პასუხისმგებლობას ჩვენი ცვლილებების წარმატებით განხორციელებაში, არამარტო რუსეთის მოქალაქეების, არამედ აშშ-ს მოქალაქეებისა და მთლიანად მთელი კაცობრიობის წინაშე.” და ა.შ. პრეზიდენტ ელცინის კონგრესში გამოსვლიდან ორი თვის შემდეგ კონფლიქტი აფხაზეთში გადავიდა აქტიურ ფაზაში და დაიწყო საბრძოლო მოქმედებები. 1992 წლის 3 სექტემბერს, პრეზიდენტ ელცინის შუამავლობით ხელი მოეწერა შეთანხმებას კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის და ორი თვის შემდეგ დავკარგეთ გაგრა და ლესელიძე. ამ დროს აფხაზების მხარეს იბრძოდნენ ე.წ. “რუსი მოხალისეები”, სამხედრო ინსტრუქტორები და სამხედრო შენაერთები და დაამყარეს სრული კონტროლი საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე. მოგვიანებით, 1993 წლის 27 ივნისს, ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და რუსეთი გამოდიოდა როგორც გარანტი. შეთანხმება გულისხმობდა მხარეთა განიარაღებას, მძიმე ტექნიკის გაყვანას, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ რუსეთი აიძულებდა საქართველოს განიარაღებას და ამავე დროს აიარაღებდა აფხაზეთს. რის შედეგადაც 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა და საბოლოოდ დავკარგეთ აფხაზეთი და რის შედეგადაც დაიღუპა 10 ათასზე მეტი ადამიანი და 300 ათასზე მეტი ადამიანი გადაიქცა დროებით გადაადგილებულ პირად და

ლტოლოვილად. და საბოლოოდ, სოხუმის დაცემის შემდეგ იძულებით, რბილად რომ ვთქვათ, „შეგვიყვანეს“ დსთ-ში, რადგანაც ძალა აღმართს ხნავს და ჩვენ გავხდით ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ბოლო, დსთ-ს მე-12 წევრი, გარდა ბალტიის ქვეყნებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალმა ე.წ. „დემოკრატიულმა“ რუსეთმა სამწუხაროდ აირჩია დაპირისპირებისა და კონფლიქტის გზა და მეზობელი საქართველოს წინააღმდეგ გაატარა ძალზედ აგრესიული, მზაკვრული და ცინიკური პოლიტიკა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ რუსეთმა განახორციელა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველების ეთნიკური წმენდა და რუსეთი პასუხისმგებელია ქართველი სამხედრო ტყვეებისა და სამოქალაქო პირების მიმართ ჩადენილი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისთვის. რუსეთმა აგრეთვე ხელი შეუწყო ზვიად გამსახურდიას კანონიერად არჩეული მთავრობის დამხობას, განახორციელა ორი ტერორისტული აქტი: პირველი - 1995 წლის 29 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ, რომლის დროსაც შევარდნაძე და მისი თანმხლები პირები გადარჩნენ და მეორე აქტი 1998 წლის 9 თებერვლს, რომლის დროსაც შევარდნაძე გადარჩა, მაგრამ დაიღუპა მისი პირადი დაცვის 2 წევრი. ახორციელებდა დივერსიულ აქტებს საქართველოში განლაგებულ ენერგეტიკულ ობიექტებზე, მათ შორის რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელ ელექტროგადამცემ ხაზსა და რუსეთ-საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელ გაზსადენზე. რუსეთი ყველანაირად ხელს უშლიდა ევროკავშირთან და ნატოსთან საქართველოს ინტეგრაციას და გამოდიოდა ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების წინააღმდეგ, როგორც გახლდათ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (ამ დროს მე გახლდით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების კომისიის თავმჯდომარე და საქართველო ერთ-ერთი პირველი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა იყო, რომელიც მასში გაწევრიანდა 2000 წელს) და სხვა. ასევე ხორციელდებოდა მუქარა თვით პრეზიდენტ ელცინისგან, რომელიც საქართველოში ენერგეტიკული პროექტების განხორციელების წინააღმდეგი გამოდიოდა.

რუსეთი ყველანაირად ხელს უშლიდა სამხრეთის სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნების (პროგრამები TRACECA (ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი) და INOGATE (საერთაშორისო ენერგეტიკული თანამშრომლობის პროგრამა), რომლებიც ხორციელდებოდა ევროკავშირის დახმარებით) და შემდგომში ამ დერეფნების ფარგლებში განხორციელებულ არაერთი სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტებს, როგორცაა: ნავთობსადენი ბაქო-სუფსა (საქართველო), ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (თურქეთი), გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზრუმი (თურქეთი) და სარკინგზო ხაზი ბაქო-თბილისი-ყარსი (თურქეთი), რადგან ისინი გვერდს უვლიდნენ რუსეთს და კონკურენციას უწევდნენ მის ტერიტორიაზე გამავალ სატრანსპორტო-ენერგეტიკულ დერეფნებს, ასევე ხელს უწყობდნენ სამხრეთ დერეფანში განლაგებული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკურ განვითარებასა და მათ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო, როგორც საქართველოსთვის, ისევე ამ ქვეყნებისთვის.

რუსეთი მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციას. პირველ ეტაპზე ევროკავშირზე იმდენად მწვავე რეაქცია არ ჰქონდა, მაგრამ როგორც უკრაინის 2013-2014 წლებში მაიდანზე განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენეს, საქართველოსგან განსხვავებით, როდესაც უკრაინამ ფაქტობრივად უარი განაცხადა ნატოში შემდგომ ინტეგრაციაზე (2008 წლის ბუქარესტის სამიტზე, საქართველომ და უკრაინამ MAP-ი ვერ მიიღეს და რუსეთ-საქართველოს ომმა), რამაც შეაჩერა მათი ნატოსკენ სვლა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არამარტო ნატოში, არამედ ევროკავშირში ინტეგრაციაც წარმოადგენდა საფრთხეს რუსეთისთვის. მიუხედავად ამისა, დღეს საქართველოს უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად ევროკავშირთან გაფორმებული აქვს ასოცირებისა და

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები და მოქმედებს ასევე უვიზო რეჟიმი, გარდა ამისა საქართველო და უკრაინა არიან ნატოს ასპირანტი ქვეყნები.

საბოლოოდ, რუსეთის ასეთმა პოლიტიკამ სამწუხაროდ მიგვიყვანა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომამდე და ყველაფერს დაერქვა თავისი სახელი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და არა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური, რომლებსაც რუსეთი იყენებდა ამ მზაკვრული გეგმის განსახორციელებლად. სხვათა შორის, ზუსტად ანალოგიური გეგმა განახორციელა რუსეთმა უკრაინაშიც (რისი მომსწრეც გახლდით, რადგანაც 2013-2017წწ ვიყავი საქართველოს ელჩი უკრაინაში), სადაც უკვე 7 წელია მიმდინარეობს ომი და ადგილი აქვს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს, რომლის შედეგად დაღუპულია 10 ათასზე მეტი ადამიანი და 1.7 მლნ ადამიანი გახდა დროებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოსთვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო დაემყარებინა მეზობელ, ახალ რუსეთთან მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობები, რაც ლოგიკურად ორივე მხარის ინტერესებში უნდა ყოფილიყო, რადგანაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ორივე ქვეყანა აღმოჩნდა უმძიმესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ჰუმანიტარული და სხვა პრობლემების წინაშე.

1993 წელს საქართველომ გახსნა საელჩო მოსკოვში და ელჩად დაინიშნა ვალერიან ადვაძე(1993-1995 წწ), ხოლო პარალელურად რუსეთმა ერთ-ერთმა პირველმა გერმანიასთან, აშშ-სთან, თურქეთთან და ჩინეთთან ერთად გახსნა საელჩო თბილისში და ელჩად დაინიშნა ვლადიმირ ზემსკი(1993-1996 წწ).



თბილისში რუსეთის ფედერაციის საელჩოს პირველი შემადგენლობა

და მუშაობა ფაქტიურად დავიწყეთ თეთრი ფურცლიდან, რომ ორ დამოუკიდებელ ქვეყანას შორის ჩამოგვეყალიბებინა მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობები. ზუსტად ამ მიზნით, 1992 წელს საქართველოს მთავრობამ შექმნა რუსეთის ფედერაციასთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ და ჰუმანიტარულ სფეროებში ორმხრივი მოლაპარაკებების საქართველოს დელეგაცია, რომლის თავმჯდომარედაც დავინიშნე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ხოლო რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგანგებო

დავალებათა ელჩი, ფელიქს კოვალიოვი და მოლაპარაკებები წარიმართა 1992-1997 წწ, რის შედეგადაც რუსეთ-საქართველოს შორის საფუძველი ჩაეყარა სოლიდურ სახელშეკრულებო-სამართლებრივ ბაზას. გარდა ამისა, რუსეთთან მიმართებაში სხვადასხვა წლებში მე გახლდით შემდეგი კომისიებისა და ჯგუფის ხელმძღვანელი:

1996-1998 წწ.- საქართველოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზებისა და სასაზღვრო ჯარების ნაწილების სარგებლობაში არსებული და მათ მიერ გადმოცემული და გასხვისებული ობიექტების, მიწის ნაკვეთებისა და უძრავ-მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე. (აღსანიშნავია, რომ ამ კომისიამ მოახდინა 20 262 ობიექტის ინვენტარიზაცია, რომლებიც იკავებდნენ 54 ათასი ჰექტარის ფართობს.)

1997-1998წწ.- საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე სიტუაციის დარეგულირებისთვის შექმნილი კომისიის თავმჯდომარე.

2001-2004 წწ. - მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ საქართველო-რუსეთის ჩარჩო ხელშეკრულების მოსამზადებელი ჯგუფის ხელმძღვანელი.

საბოლოოდ, ორი დელეგაციის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად, 1994 წლის 3 თებერვალს საქართველოში განხორციელდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ბორის ელცინის ოფიციალური ვიზიტი. ვიზიტი უნდა ყოფილიყო ორ დღიანი, მაგრამ უსაფრთხოების საკითხებიდან გამომდინარე, რადგანაც სოხუმის დაცემიდან სულ რამდენიმე თვე იყო გასული, ოფიციალური ვიზიტი ერთ დღეში დასრულდა. პრეზიდენტის თანმხლები დელეგაცია მაღალი დონის იყო. მასში შედიოდნენ რუსეთის მთავრობის პირველი ვიცე პრემიერი ოლეგ სოსკოვეცი, საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი, თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩიოვი, ლენინგრადის მერი ანატოლი სობჩაკი, საგანგებო სიტუაციების სამსახურის ხელმძღვანელი სერგეი შოიგუ და სხვები. ვიზიტის დროს ხელი მოეწერა 25 შეთანხმებას, მათ შორის ე.წ. ყოვლისმომცველ ჩარჩო ხელშეკრულებას „მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ“, რომელსაც ხელი მოაწერეს რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.



რუსეთ - საქართველოს „ყოვლისმომცველი მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების“ ხელმოწერის ცერემონიალი, რომელსაც ხელი მოაწერეს პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

ვიზიტის დასრულების შემდეგ, უნდა გამოქვეყნებულიყო ერთობლივი კომუნიკე ვიზიტის შედეგების შესახებ, მითუმეტეს ამ ვიზიტისადმი ინტერესი ძალზედ დიდი იყო და მას ესწრებოდა როგორც რუსეთის, ასევე უცხოეთის მასმედიის უამრავი წარმომადგენელი. ფაქტიურად, ამ ვიზიტის დროს საფუძველი ჩაეყარა რუსეთ-საქართველოს შორის სახელმწიკრულებო-სამართლებრივ ბაზას. კომუნიკეს ტექსტზე, რომლის პროექტიც წარმოადგინა რუსეთის მხარემ, ვმუშაობდით: რუსეთის მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ბორის პასტუხოვი, ხოლო ქართული მხრიდან უმუშალოდ მე მომიწია მუშაობა.

კომუნიკეს ტექსტი შედგებოდა სულ ორ გვერდისაგან. პირველ გვერდზე ეწერა, რომ 1994 წლის 3 თებერვალს შედგა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, რომლის დროსაც ხელი მოეწერა შემდეგ ხელშეკრულებას და შეთანხმებებს და იყო ჩამონათვალი, სადაც პირველ ადგილზე ეწერა „მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება“, მეორე- "სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმება, რაზეც მე შევთავაზე ბორის პასტუხოვს, რომ არ გამოგვსლოდა ვიზიტის მილიტარიზაცია, ჩამონათვალში მეორე ადგილზე გადმოგვეტანა შეთანხმება სავაჭრო-თანამშრომლობის შესახებ, რასაც ბორის პასტუხოვი დაეთანხმა და ამით პირველ გვერდზე წარმოდგენილი ტექსტი შევთანხმეთ და მოვახდინეთ მისი პარაფირება. მაგრამ, როდესაც მეორე გვერდის განსახილველად გადავედით, რუსეთის მხარის მიერ წარმოდგენილ პროექტში ეწერა შემდეგი: კონფლიქტები აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში / ცხინვალის რეგიონი, ჯავახეთსა და აჭარაში, რაც ჩვენთვის სრული მოულოდნელობა იყო და ამასთან დაკავშირებით ავლნიშნე რომ, თუ ჩვენ კიდევ შეგვიძლია ასე თუ ისე ვახსენოთ კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რა შუაშია აქ კონფლიქტების ხსენება ჯავახეთსა და აჭარაში, რაზეც ბატონმა პასტუხოვმა მიპასუხა: „მიხილ გივიევიჩ, როგორც იცით, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, ამასთან, მე ხომ დაგითმეთ პირველ გვერდზე“. რაზეც მე ვუპასუხე, რომ ქართული მხარისთვის აბსოლიტურად გაუგებარია და მიუღებელი ასეთი ვარიანტი და გიბრუნებთ პირველ გვერდზე თქვენ დათმობას, საბოლოოდ ვერ შევჯერდით და კომუნიკე შეუთანხმებელი დარჩა, რის შესახებაც მოვახსენე ბატონ ედუარდს, არადა ვიზიტის დამთავრებისთანავე, საღამოს, კომუნიკე უნდა გამოქვეყნებულიყო. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერეს ყოვლისმომცველ ჩარჩო ხელშეკრულებას, უნდა გამართულიყო პრეს-კონფერენცია და ჩვენ ყველანი, რუსულ დელეგაციასთან და მასმედიის წარმომადგენლებთან ერთად ვისხედით დარბაზში და ველოდებოდით პრეს-კონფერენციის დაწყებას. ამ დროს დარბაზში შემოვიდა შევარდნაძის პირადი დაცვის წევრი და შორიდან ხელით მანიშნა, რომ დარბაზიდან გამოვსულიყავი, მაცნობა, რომ ბატონი ედუარდი მიბარებდა თავისთან, ავედით მე-10 სართულზე და შევედით შევარდნაძის კაბინეტში, სადაც მარტო ისხდნენ ედუარდ შევარდნაძე და ბორის ელცინი და ჩაის მიირთმევდნენ. ბატონმა ედუარდმა წარმადგინა და უთხრა, რომ ერთობლივი კომუნიკეს ტექსტზე მუშაობისას წარმოიშვა პრობლემა, რაზეც ბორის ელცინმა მკვეთრად იკითხა: „А где наши?! ჩვენები სად არიან?!“ ბატონმა ედუარდმა მთხოვა ვინმე მომეყვანა და ცოტა ხანში კაბინეტში შევიყვანე მათი წარმომადგენელი. პრეზიდენტმა ელცინმა მთხოვა მომეხსენებინა, თუ რაში იყო პრობლემა. ავუხსენი, რომ კომუნიკეს ტექსტში საქართველოში არსებული კონფლიქტების ჩამონათვალში, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის გარდა, ნახსენები იყო კონფლიქტები აჭარასა და ჯავახეთში, რაც ქართული მხარისთვის აბსოლიტურად გაუგებარი და მიუღებელი იყო და ამის გამო ტექსტი შეუთანხმებელი გვაქვს რუსულ მხარესთან და მისი გამოქვეყნება ვერ მოხდება. ბორის ელცინმა მოისმინა და რამდენიმე წამიანი შეყოვნების შემდეგ მკვეთრად წარმოთქვა: „ერთაბ! (ამოიღეთ!)“ და მოგვიანებით რუსულმა მხარემ მოხსნა ჩვენთვის მიუღებელი ვარიანტი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამით

რუსული მხარე მიგვანიშნებდა, რომ თუ კარგად არ მოიქცევით, მიიღებთ კონფლიქტებს ჯავახეთსა და აჭარაში. სხვათა შორის, ასეთივე ცუდი აზრები ამოდრავებდათ სამეგრელოსთან მიმართებაში. საბოლოოდ აღსანიშნავია ის, რომ „მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას“, რომელსაც მხარეებმა ხელი მოაწერეს უმაღლეს დონეზე, საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა, ხოლო რუსეთის დუმამ არა და ასეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი ორ ქვეყანას შორის მიუხედავად იმისა, რომ ისინი დსთ-ს წევრები იყვნენ, ძალაში არ შევიდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ რუსეთის პრეზიდენტის ეს ვიზიტი აღმოჩნდა პირველი და უკანასკნელი, რადგან რუსეთის სხვა პრეზიდენტები საქართველოს განვლილი წლების განმავლობაში არ წვევიან, რაც რბილად რომ ვთქვათ, რუსეთის კეთილგანწყობაზე არ მიუთითებდა. მოგვიანებით, ასეთივე ბედი ეწია სამხედრო ბაზების შესახებ შეთანხმებას, რომელსაც თბილისში ედუარდ შევარდნაძის თანდასწრებით ხელი მოაწერეს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ და რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პავლე გრაჩოვმა და რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 25 წლით. ქართული მხრიდან განიხილებოდა შეთანხმების მოქმედების 3 ვარიანტი (10, 15 და 25 წელი). ბოლოს შეთანხმებას ხელი მოეწერა 25 წლით, თუმცა ქართული მხარის სპეციალური დათქმით, რომ რუსეთი დაეხმარებოდა საქართველოს სამხედრო ძალების მშენებლობაში; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და უკანონო სამხედრო ფორმირებების განიარაღებაში. ამ შემთხვევაშიც საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა აღნიშნულ შეთანხმებას, ხოლო რუსეთის მხარემ არა.

მოგვიანებით, 2001 წელს, პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა და პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გადაწყვიტეს მომზადებულიყო ახალი ყოვლისმომცველი ჩარჩო ხელშეკრულება „მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ“. რუსეთის მხრიდან დელეგაციის ხელმძღვანელად დაინიშნა ბორის პასტუხოვი, რომელიც ამ პერიოდისთვის უკვე გახლდათ რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირველი ვიცე-პრეზიდენტი (ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე), უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი გახლდათ ევგენი პრიმაკოვი (ყოფილი პრემიერ-მინისტრი/ საგარეო საქმეთა მინისტრი), ხოლო ქართული მხრიდან დელეგაციის ხელმძღვანელად დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, ამასთან დაკავშირებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომელსაც ქართული მხრიდან ვხელმძღვანელობდი მე, როგორც საგანგებო დავალებათა ელჩი, ხოლო რუსეთის მხრიდან ხელმძღვანელობდა საგანგებო დავალებათა ელჩი ლევ მირონოვი. აღნიშნული მუშაობა ჩატარდა 2001-2003 წლებში და ფაქტიურად მხარეებმა ამ შეთანხმებაზე მუშაობა თითქმის დავასრულეთ, მაგრამ ამ შეთანხმებასაც ბედი არ ეწერა, იმიტომ, რომ რუსეთის ახალ ხელმძღვანელობასაც არ გააჩნდა პოლიტიკური ნება მეზობელ ქვეყანასთან ნამდვილად ჰქონოდა ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ შეთანხმების პროექტზე მუშაობის დროს ტექსტის ნაწილში, რომელიც ეხებოდა პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებს, ჩვენ შევთავაზეთ ვარიანტი, სადაც ეწერა დაახლოებით შემდეგი: „კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს რეგიონში არსებული ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური, სომხეთ-აზერბაიჯანის და რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს კავკასიის რეგიონის ეკონომიკურ აღორძინებას“. რაზეც რუსულმა მხარემ კატეგორიული უარი განაცხადა, რადგანც ისინი თვლიდნენ, რომ ადგილი ჰქონდა არა რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტს არამედ ანტიტერორისტულ ოპერაციას ჩეჩნეთში, რაც ამკარად მიუთითებდა რუსეთის ორმაგ სტანდარტზე, როდესაც მეზობელ ქვეყნებში ის აღვივებდა კონფლიქტებს და ხელს უწყობდა სეპარატიზმს, ხოლო ამავედროულად თავის ქვეყანაში

ჩვენს სეპარატისტების წინააღმდეგ ატარებდა ანტიტერორისტულ ოპერაციას. სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძემ სოხუმის დაცემის შემდეგ განაცხადა, რომ ეს ყველაფერი ბუმერანგით დაუბრუნდება რუსეთს და მართლაც, მალე დაიწყო რუსეთ-ჩვენეთის ომი (ანტიტერორისტული ოპერაციის სახელწოდებით). ან ავიღოთ კოსოვოს მაგალითი. მას შემდეგ, რაც დასავლეთის ქვეყნების დიდმა ნაწილმა აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა, რუსეთი ამას არ აღიარებდა, ისევე როგორც საქართველო (ჩვენი პრობლემების გამო), სხვათა შორის უკრაინაც. მაგრამ ამის საპირისპიროდ, 2008 წელს რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთმა საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული იგნორირებით აღიარა მის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიების აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობა, რაც აშკარად მიუთითებდა რუსეთის ორმაგ სტანდარტზე, რადგანაც თუ რუსეთისთვის კოსოვოს დამოუკიდებლობა იყო მიუღებელი და ცუდი, რატომ იყო კარგი და მისაღები მეზობელ ქვეყანაში ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის ე.წ. აღიარება და ამით რუსეთმა შექმნა ძალზე ცუდი დამოუკიდებლობის პრეცედენტი, იუგოსლავიის დაშლის შემდეგ უკვე პოსტსაბჭოთა სივრცეში, როდესაც თვით რუსეთს 85 სუბიექტი ჰყავს და მის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე ემუქრება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარედანაც, რადგან ზოგიერთ მეზობელს პრეტენზია გააჩნია მისი ტერიტორიის მიმართ. დღეს, როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობა არ აღიარებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობას, რუსეთთან ერთად მათი დამოუკიდებლობა ცნეს მხოლოდ ვენესუელამ, ნიკარაგუამ, ნაურუმ და სირიამ. მანამდე გაიწვიეს თავიანთი აღიარება ტუვალუმ და ვანუატუმ. აღსანიშნავია, რომ არცერთმა საბჭოთა რესპუბლიკამ, მათ შორის მისმა უშუალო მოკავშირეებმა მხარი არ დაუჭირეს რუსეთის ამ ნაბიჯს, რადგან ესმით, თუ რა საფრთხის შემცველია ეს მათი სახელმწიფოებრიობისთვის. და დღეს, რა პარადოქსალურადაც არ უნდა ჟღერდეს, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს, საქართველოს ტერიტორიაზე გააჩნია 3 საელჩო: ორი მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე.წ. „დამოუკიდებელ“ სოხუმსა და ცხინვალში, ხოლო თბილისში რუსეთი წარმოდგენილია რუსეთის ინტერესების სექციით შვეიცარიის საელჩოსთან და ანალოგიურად მოსკოვშიც. და დღეს რუსეთს დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებული აქვს ე.წ. „დამოუკიდებელ“ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან, ხოლო საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილი აქვს.

რუსეთს საერთაშორისო საზოგადოება ენდო, რომ მას ეთამაშა სერიოზული როლი პოსტსაბჭოთა სივრცეში კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში და რუსეთის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტებში ხაზი ესმება, რომ რუსეთი აქტიურად გამოდის პოსტსაბჭოთა სივრცეში კონფლიქტების პოლიტიკური-დიპლომატიური დარეგულირებისთვის, რაც ძალზედ მცდარი აღმოჩნდა და თუ ეს დასავლეთისთვის იყო დიდი იმედგაცრუება, ზოგიერთი საბჭოთა რესპუბლიკისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც ეს აღმოჩნდა დამანგრეველი. ამ პოლიტიკის შედეგად, ევროპამ მიიღო ორი სრულმასშტაბიანი ომი მეზობლებთან: საქართველოსთან და უკრაინასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ასეთი პოლიტიკა განპირობებულია იმით, რომ რუსულმა ელიტამ ძალზე მტკივნეულად განიცადა საბჭოთა კავშირის დაშლა და დღემდე ვერ ეგუება არსებულ რეალობას და იმისათვის, რომ აღადგინოს დაკარგული გავლენა და კონტროლი პოსტსაბჭოთა სივრცეზე, რუსეთმა ინიცირება გაუკეთა კონფლიქტებს ბიზანტიური პრინციპით „დაყავი და იბატონე“ და „ ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“. და რუსეთის ქმედებები მიმართულია დესტაბილიზაციისკენ იმ ქვეყნებში, რომელმაც მტკიცედ განაცხადეს თავიანთ დამოუკიდებელი

კურსის შესახებ და ამას ადასტურებს ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოში, მთიანი ყარაბაღი, დნესტრისპირეთი, ანექსირებული ყირიმი და ოკუპირებული დონბასის ნაწილი. მაგრამ, საბოლოოდ ვერავითარი გეოპოლიტიკური ინტერესები ვერ გაამართლებს რუსეთის ასეთ ქმედებებს, რის შედეგადაც პოსტსაბჭოთა სივრცეში მოკლულია ათი ათასობით ადამიანი და 3 მილიონზე მეტი ადამიანი იქცა დროებით გადაადგილებულ პირად და ლტოლვილად.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოსა და რუსეთს შორის შეიქმნა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი. აღნიშნული დისკუსიების ჩამოყალიბების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესაბამისად. საქართველოს და რუსეთის გარდა მოლაპარაკებებში მონაწილეობას იღებენ გაერო, ეუთო, ევროკავშირი და აშშ. ჟენევის ფორმატში მოლაპარაკებები მიმდინარეობს 2 პარალელურ ჯგუფში: პირველ ჯგუფში განიხილავენ უსაფრთხოების საკითხებს, ხოლო მეორეში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხს, ასევე, სხვა ჰუმანიტარულ საკითხებს. დღეისათვის უკვე გაიმართა 51 შეხვედრა, მაგრამ ხელშესახები შედეგები არა გვაქვს.

პარალელურად, მოგვიანებით საქართველოს მთავრობამ 2012 წელს რუსეთთან შექმნა ორმხრივი მოლაპარაკების პრადის ფორმატი, გამომდინარე იქიდან, რომ მუდმივი ომი და მუდმივი მტრობა არ არსებობს და მხარეებმა გადაწყვიტეს მოლაპარაკებების დროს არ შეეხონ წითელ ხაზებს. დღეისათვის გაიმართა 23 შეხვედრა, აქედან 22 შეხვედრა პირისპირ, ხოლო ბოლო პანდემიის გამო ონლაინ რეჟიმში, მიუხედავად დიპლომატიური ურთიერთობების არქონისა, შედეგებმა არ დააყოვნეს, რასაც მოწმობს ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები.

საინტერესოა აღინიშნოს, რუსეთის მხრიდან ბოლო დრომდე ჟენევისა და პრადის ფორმატებში მოლაპარაკებებს აწარმოებდა ერთი და იგივე პირი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი(ჟენევის ფორმატში ეხლა უკვე მონაწილეობას იღებს რუსეთი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ანდრეი რუდენკო) და როგორც შედეგებმა გვიჩვენეს, გამოცდილი რუსი დიპლომატი წარუმატებელი იყო ჟენევაში, რადგანაც შედეგები არ ჩანს, ხოლო პრადაში იყო წარმატებული. საქმე იმაშია, რომ დღეს რუსეთი არ არის დაინტერესებული ჟენევის ფორმატის წარმატებით დასრულებაში, რადგან საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციით (მათ შორის, საზღვაო მონაკვეთის 310კმ-დან 200-მდე კმ), ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებით, ბორდერიზაციით, მცოცავი ოკუპაციით და მუდმივი პროვოკაციების მოწყობით, ის აჩერებს საქართველოს განვითარებას და მისი ინტეგრაციის პროცესს ევროკავშირისა და ნატოში და ამით პროგრამა მინიმუმში შესრულებული აქვს, ხოლო პარალელურ რეჟიმში ის ახორციელებს პროგრამა მაქსიმუმს, რომლის მიხედვით, ის რბილი ძალის გამოყენებით, რაშიც მას ეხმარება პრადის ფორმატის შედეგად მიღწეული შედეგები: ვაჭრობა, ტრანსპორტი, კომუნიკაციები, ტურიზმი, ენერგეტიკა, საბანკო სექტორი და სხვა. ცდილობს დააბრუნოს საქართველო თავისი გავლენის ორბიტაზე და საბოლოოდ აღადგინოს ე.წ საკავშირო გაერთიანება. აქედან, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტიდან გამომდინარე საჭიროა მოხდეს ანალიზი და შეფასება, თუ რამდენად საფრთხის შემცველია ამ ეტაპზე პრადის ფორმატის ფარგლებში მიღწეული შედეგები, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. უპირველეს ყოვლისა, რაც თვალში საცემია, უნდა შევამციროთ რუსეთის წილი სავაჭრო ბრუნვაში, როგორც ექსპორტში (მაგალითად, ღვინის ექსპორტში რუსეთის წილი 62%-ზე მეტია), ისე იმპორტში (მაგალითად, ხორბლის იმპორტში რუსეთის წილი 90%-ზე მეტია) უსაფრთხო დონემდე, რადგანაც რუსეთი აგრძელებს ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისთვის, რასაც ადასტურებს დეპუტატ გავრილოვთან დაკავშირებული სკანდალის გამო რუსეთის მიერ შეწყვეტილი

საპარეო მიმოსვლა საქართველოსთან (2019 წლის 8 ივლისი) შუა ტურისტული სეზონის დროს, რითაც დიდი ზიანი მიაღწა არამარტო ქართულ, არამედ რუსულ ავია და ტურისტულ კომპანიებსაც, (რასაც ადასტურებს აქ მოყვანილი სტატისტიკა) არაფერს ვამბობ ტურისტებზე და ვიზიტორებზე, რომელთაც შეექმნათ სერიოზული პრობლემები.

გარდა ამისა, რუსეთი აგრძელებს კიბერშეტევებს საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების წინააღმდეგ, მათ შორის ბოლო განხორციელდა 2020 წლის 1 სექტემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე. კიბერშეტევის მიზანი იყო სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში დაცული სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაციისა და პანდემიის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და გამოყენება. ასევე, რუსეთი ავრცელებს მასალებს, რომელიც ხელს უწყობს მოქალაქეთა შორის სოციალურ დაძაბულობას, საპროტესტო განწყობებს და მიმართულია პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და სოციალური სიტუაციის გაართულებასა და დისკრედიტაციაზე და ამით ხელს უწყობს ხელოვნურად მართვადი ქაოსის შექმნას და საქართველოს, როგორც არშემდგარი სახელმწიფოს ნარატივის გავრცელებას.

რაც შეეხება ჩვენს რეგიონში ამ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, რის შედეგადაც რუსეთი უკვე აზერბაიჯანში მოგვევლინა მშვიდობისმყოფელის როლში და თუ ის ძველებურად აპირებს გააგრძელოს თავისი დესტრუქციული ქმედებები, როდესაც კითხვაზე ვის მხარეზეა რუსეთი სომხეთის თუ აზერბაიჯანის, პასუხი იყო თავის მხარეზე, ანუ კონფლიქტის მხარეზე, რაც ჩვენ ვიწვინეთ საკუთარ თავზე, როდესაც რუსეთი შუამავლიდან გადაიქცა გარანტორად, შემდეგ მშვიდობისმყოფელად და ბოლოს რუსეთ-საქართველოს სრულმასშტაბიანი ომისმყოფელად. და თუ ეს ასე არ არის და რუსეთი ნამდვილად მოწადინებულია დაამყაროს მშვიდობა და ხელი შეუწყოს აზერბაიჯანელებისა და სომხების შერიგების პროცესს, მაშინ ლოგიკურად, ალბათ დღის წესრიგში უნდა დადგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის გაწვევის საკითხიც.

და ბოლოს, დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან როგორც განვლილმა წლებმა გვიჩვენეს ძალზედ ძნელია ქვეყნის მიერ დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია მისი შენარჩუნება და განმტკიცება. აქედან გამომდინარე, საქართველოს გეოსტრატეგიული მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ამ ფათერაკებით სავსე გზაზე საბოლოოდ სამშვიდობოზე გასვლამდე ბოლომდე გვერდში გვედგან ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ქვეყნები, უპირველეს ყოვლისა აშშ და ევროკავშირი.

რუსეთი- საქართველო

სტატისტიკური მონაცემები

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 1,328 მლრდ დოლარი შეადგინა. ბრუნვის მიხედვით, სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ათეულში რუსეთი მეორე ადგილზეა. აქედან, საქართველოს ექსპორტმა შეადგინა 441,0 მლნ. აშშ დოლარი და ექსპორტი წინა წელთან შედარებით 11.2%-ით შემცირდა. რაც შეეხება იმპორტს, იმპორტმა შეადგინა 887.2 მლნ აშშ დოლარი და შემცირდა 9.2%-ით.

**საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2020* წლის ბრუნვის მიხედვით**

	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული ნილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული ნილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული ნილი
სულ	3 342 142.2	100.0	8 005 568.7	100.0	11 347 710.8	100.0
მათ შორის:						
თურქეთი	190 569.6	5.7	1 406 975.4	17.6	1 597 545.0	14.1
რუსეთი	441 075.6	13.2	887 167.5	11.1	1 328 243.1	11.7
ჩინეთი	476 269.9	14.3	708 747.1	8.9	1 185 017.0	10.4
აზერბაიჯანი	441 289.4	13.2	493 183.2	6.2	934 472.6	8.2
აშშ	80 030.0	2.4	540 914.8	6.8	620 944.8	5.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-Geostat წინასწარი მონაცემები

საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები:

- ყურძნის ნატურალური ღვინოები - 119.5 მლნ დოლარი
- ფეროშენადნობები - 108.5 მლნ დოლარი
- მინერალური და მტკნარი წყლები - 43.9 მლნ დოლარი
- სპირტიანი სასმელები - 31.2 მლნ დოლარი
- ხილი (ახალი გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი, ქლიავი, ღოღნოშო) - 19.9 მლნ დოლარი

რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები:

- ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 130.3 მლნ დოლარი
- ხორბალი და მესლინი - 107.3 მლნ დოლარი (რუსეთი ხორბლეულის მთავარი მომწოდებელია- 90%-ზე მეტი.)
- ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა - 47.3 მლნ დოლარი
- მზესუმზირის ზეთი - 41.0 მლნ დოლარი
- სატელეფონო აპარატები - 28.7 მლნ დოლარი.

საქართველოს ღვინის ექსპორტი 2019 წელი - ქვეყნების პირველი ხუთეული

	ქვეყანა	რაოდენობა
1	რუსეთი	58.4 მლნ. ბოთლი
2	უკრაინა *	8,6 მლნ. ბოთლი
3	ჩინეთი	7.1 მლნ. ბოთლი
4	პოლონეთი	4.1 მლნ. ბოთლი
5	ყაზახეთი*	2.9 მლნ. ბოთლი

* 2019 წლის 11 თვის მონაცემები

2019 წელს 341 კომპანიის მიერ იქნა განხორციელებული ღვინის ექსპორტი 53 ქვეყანაში, რომლის რაოდენობამ შეადგინა 94 მლნ. ბოთლი(0.75ლ). რაც 9 %-ით მეტია 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით. ხოლო ღვინის ექსპორტის ღირებულებამ შეადგინა 240 მლნ დოლარი, რაც 17%-ით მეტია ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 6 თვეში ღვინის ყველაზე მსხვილ რუსეთის ბაზარზე ექსპორტმა 54.2 მლნ დოლარი შეადგინა და წლიურად 8%-ით არის შემცირებული. წყარო: ღვინის ეროვნული სააგენტო

საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტი 2019 წელი

1. რუსეთი: 329.9 ათასი ტონა, წილი 30.1%
2. რუმინეთი: 300.0 ათასი ტონა, წილი 27.4%.
3. აზერბაიჯანი: 170.2 ათასი ტონა, წილი 15.5%.
4. თურქმენეთი: 119.4 ათასი ტონა, წილი 10.9%.
5. ბულგარეთი: 92.4 ათასი ტონა, წილი 8.4% .

წყარო:BM.GE

საქართველოში მოქმედი უმსხვილესი ნავთობკომპანიების რეიტინგი

საქართველოში მოქმედი უმსხვილესი ნავთობკომპანიების რეიტინგში პირველ ხუთეულში მე-3 ადგილზეა რუსული კაპიტალით შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია(გალფი)“ და მე-5 ადგილზეა შპს „ლუკოილ-ჯორჯია“.

#	კომპანიის სახელი	შემოსავალი ლარებში	წმინდა მოგება/ მარალი ლარებში	აქტივების ღირებულება ლარში
1	შპს სოპარ ჰორჯია კაპიტოლუმში	655,069,000	-45,418,000	359,041,000
2	შპს რომაპიტოლ საპარემპილ	509,480,121	-8,708,542	103,231,109
3	შპს სან კაპიტოლუმ ჰორჯია (გალფი)	444,736,000	8,751,000	169,367,000
4	სს ვისოლ კაპიტოლუმ ჰორჯია	443,245,000	-39,408,000	223,463,000
5	შპს ლუკოილ-ჰორჯია	332,340,000	-13,581,000	64,346,000

წყარო: Forbes Georgia/2018 წლის ანგარიშებზე დაყრდნობით

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზარი

- ▶ სემეკის მონაცემებით, 2019 წელს ელექტროენერჯის იმპორტითა და ექსპორტით რუსეთი მეორე ადგილზეა. 2019 წელს ელექტროენერჯის იმპორტის 68% თურქეთიდან განხორციელდა, ხოლო 32% – რუსეთიდან. ელექტროენერჯის ექსპორტის 46% განხორციელდა თურქეთში, ხოლო რუსეთში – 24%.
წყარო: სემეკი

ბანკების რეიტინგი აქტივების ზომის მიხედვით - 2019 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით

VTB ბანკი

მთლიანი აქტივები - 1.65 მილიარდი ლარი, მე-5 ადგილი;

ბანკის წმინდა მოგება 2019 წელს 13.6 მილიონი ლარი;

ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალში რუსეთის ფედერაციის მთავრობის წილი 59.34%-ია.

წყარო: BM.GE

მობილური კომუნიკაციები - 2019 წელი (3 კვარტლის მონაცემები)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმაციით, 2019 წლის 9 თვის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობამ მობილურ კავშირგაბმულობაში 369.2 მილიონი ლარი (მოცემულია დღე-სა და აქციზის გარეშე) გადაიხადა, რომელიც ოპერატორების მიხედვით ასე ნაწილდება:

მე-3 ადგილი : "ვიონი საქართველო" (ბილაინი) - 66.5 მილიონი ლარი, ზრდა წინა წელთან 14.7%.

მობილური ოპერატორების რეიტინგი აბონენტების მიხედვით:

მე-3 ადგილი : "ვიონი საქართველო" (ბილაინი) - 1,237,245 აბონენტი

წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

2018 წლის 3 კვარტლის მონაცემებით

საქართველოში სულ დარეგისტრირებული იყო 3842 საწარმო რუსული კაპიტალის მონაწილეობით. მათ შორის:

- ▶ 2 817 საწარმო - რუსული კაპიტალით შექმნილი.
- ▶ 770 საწარმო - ქართულ-რუსული წილობრივი კაპიტალით შექმნილი.
- ▶ 255 საწარმო - რუსული და მესამე ქვეყნების წილობრივი კაპიტალით შექმნილი.

დარეგისტრირებული 3 842 საწარმოდან ამ ეტაპზე მოქმედია 1 562 კომპანია, მათ შორის:

- ▶ 1 114 საწარმო - რუსული კაპიტალით შექმნილი.
- ▶ 354 საწარმო - ქართულ-რუსული კაპიტალით შექმნილი.
- ▶ 94 საწარმო - რუსული და მესამე ქვეყნების წილობრივი კაპიტალით შექმნილი.

საქართველოს ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე კერძო კომპანიები რუსული კაპიტალით

- ❖ მე-7 ადგილი: ს.ს. თელასი
შემოსავალი: 461 მლნ ლარი. რუსეთის სახელმწიფო კომპანია „ინტერ რაო“ - 75%, 420.3 მლნ.ლარი. გარდა ამისა, მას ეკუთვნის თბოსადგური „მტკვარი ენერჯეტიკა“.
- ❖ მე-9 ადგილი: ნავთობის კომპანია „გალფი“ - შემოსავალი: 444.7 მლნ ლარი (შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია) - პეტროკას ენერჯი ლიმიტედი, რომლის მფლობელია ქართული წარმოშობის რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენი დავით იაკობაშვილი, მისი კუთვნილი “პეტროკას ენერჯი ლიმიტედის” 49% რუსული სახელმწიფო კომპანია “როსნეფტი” ფლობს. საქართველოში ავტოგასამართი სადგურების გარდა, კომპანია ნავთობისა და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობისა და გადაზიდვებითაა დაკავებული.
- ❖ მე-17 ადგილი: ნავთობის კომპანია “ლუკოილ ჯორჯია“ შემოსავალი: 332.3 მლნ ლარი. ნავთობ კომპანიას საქართველოში ავტოგასამართი სადგურების საკუთარი ქსელი აქვს. ის რუსული სააქციო საზოგადოება “ლუკოილის” შვილობილი კომპანიაა და საქართველოს ბაზარზე 2002 წლიდან ოპერირებს. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ჰოლანდიაში არსებული 1998 წელს რეგისტრირებული კომპანია “ლუკოილ ევროპა ჰოლდინგს ბი.ვი.”
- ❖ მე-19 ადგილი: „აიდეის ბორჯომი საქართველო“, შპს აიდეის ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი, რომელიც შედის საინვესტიციო ჰოლდინგში Alfa Group, რომლის მფლობელია მიხაილ ფრიდმანი. შემოსავალი 323.3 მლნ ლარი.
- ❖ 30-ე ადგილი: შპს “RMG GOLD” შემოსავალი: 209.9 მლნ ლარი. ერთადერთი მფლობელი ოფშორულ ზონაში, ნიდერლანდებში რეგისტრირებული Rich Metals Group. მისი მფლობელები არიან დმიტრი ტროიცი და დმიტრი კორჟიევი.
- ❖ 61-ე ადგილი: ვიონი საქართველო (ბილანი)- შემოსავალი: 109.6 მლნ ლარი.
- ❖ 82-ე ადგილი: პს „ვიმ-ბილ-დან საქართველო“ ,რძის პროდუქტების წარმოება, დისტრიბუცია, შემოსავალი 86.1 მლნ ლარი. „ვიმ ბილ დან საქართველო“ რძის პროდუქტების მწარმოებელი რუსული ღია სს „ვიმ-ბილ-დანის“ მფლობელობაში მყოფი კომპანიაა. საქართველოში 2008 წელს დარეგისტრირდა. კომპანიის დამფუძნებელი რუსეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის ბიზნესმენი დავით იაკობაშვილია. ქართულ ბაზარზე მისი პროდუქცია ცნობილია სახელწოდებით “სოფლის ნობათი”.

წყარო: Forbes Georgia/2018 წლის ანგარიშებზე დაყრდნობით

ძირითადი ქვეყნების პირველი ხუთეული ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით - 2019 წელი

ქვეყნები	2018	2019	ცვლილება
აზერბაიჯანი	1 424 610	1 526 619	7.2 %
რუსეთი	1 404 757	1 471 558	4.8%
სომხეთი	1 268 886	1 365 048	7.6%
აურქუთი	1 098 555	1 156 513	5.3%
უკრაინა	177 058	207 667	17.3%

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საქართველოსა და რუსეთს შორის საჰაერო მიმოსვლის სტატისტიკური მონაცემები (კვირაში სიხშირის მიხედვით), 2019 წლის 05.06 მდგომარეობით

საქართველოს აეროპორტებიდან თბილისი, ბათუმი, ქუთაისი რეისები სრულდებოდა რუსეთის შემდეგი მიმართულებით: მოსკოვი, ჟუკოვსკი, სანკტ-პეტერბურგი, ნოვოსიბირსკი, როსტოვი, სოჭი, ეკატერინებურგი, ყაზანი, კრასნოდარი, უფა, პერნი, ჩელიაბინსკი, მახაჩკალა. რეგულარულ საჰაერო მიმოსვლას ახორციელებდნენ შემდეგი ავიაკომპანიები:

ქართული კომპანიები

“Georgian Airways”

თბილისი- მოსკოვი	21 სიხშირე
თბილისი- სანკტ-პეტერბურგი	7 სიხშირე
თბილისი- ყაზანი	3 სიხშირე
თბილისი - ვორონეჟი	2 სიხშირე
თბილისი - უფა	2 სიხშირე
ბათუმი - მოსკოვი	1სიხშირე (07.06.2019 წ. დან)

“My way”

თბილისი- ჟუკოვსკი 3 სიხშირე

რუსული კომპანიები

“AEROFLOT”

მოსკოვი- თბილისი	7 სიხშირე
მოსკოვი- ბათუმი	1 სიხშირე
ნოვოსიბირსკი-თბილისი	2 სიხშირე

“Ural Airlines”

ეკატერინებურგი- თბილისი	4 სიხშირე
სოჭი-თბილისი	3 სიხშირე
სანკტ-პეტერბურგი- თბილისი	4 სიხშირე
ჟუკოვსკი-თბილისი	7 სიხშირე
მოსკოვი(დომოდედოვო)-ბათუმი	14 სიხშირე
მოსკოვი-ქუთაისი	3 სიხშირე
კრასნოდარი-თბილისი	3 სიხშირე
სამარა-თბილისი	2 სიხშირე .

“Pobeda”

როსტოვი-თბილისი	7 სიხშირე
ყაზანი-თბილისი	3 სიხშირე
პერმი-თბილისი	3 სიხშირე
ეკატერინებურგი-ბათუმი	2 სიხშირე (07.06.2019 დან)
ყაზანი-ბათუმი	3 სიხშირე
პერმი-ბათუმი	3 სიხშირე

როსტოვი-ბათუმი 4 სიხშირე

“Nordavia”

სანკტ-პეტერბურგი-თბილისი 2 სიხშირე

“SVT Aero”

ჩელიაბინსკი-ბათუმი 2 სიხშირე

მახაჩკალა-თბილისი 2 სიხშირე

2019 წლის (იანვარი-აპრილი) პერიოდში გადაყვანილი იქნა 403 606 მგზავრი და 51%-ით გაიზარდა 2018 წლის ანალოგიური პერიოდთან შედარებით. რაც შეეხება მთლიანად 2018 წელს, გადაყვანილი იქნა 1 126 879 მგზავრი და 2017 წელთან შედარებით გაიზარდა 44%-ით. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მთავრობამ 2019 წლის 8 ივლისიდან შეწყვიტა პირდაპირი ფრენები საქართველოსთან.

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების შესახებ ინფორმაცია 2019 წელი (მლნ. დოლარი)- ქვეყნების პირველი ხუთეული

2019 წელს საზღვარგარეთ დასაქმებულთა მიერ საქართველოში გადმორიცხულმა თანხებმა შეადგინა 1.7 მლრდ დოლარი და გაიზარდა 10 % ით 2018 წელთან შედარებით (1.5 მლრდ დოლარი).

	ქვეყანა	2019	2018	სხვაობა
1	რუსეთი	429	457	-28%
2	იტალია	239	193	46%
3	საბერძნეთი	193	171	22%
4	აშშ:	178	160	19%
5	ისრაელი	163	151	11%

წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

**ინფორმაცია საქართველოში უცხოელების მიერ შექმნილი უძრავი ქონების შესახებ
2016-2019 წწ.**

- ▶ რუსეთი - 15 133, წილი 40%
- ▶ ირანი - 5 598.
- ▶ უკრაინა - 2 599.
- ▶ ისრაელი - 1 634.
- ▶ სომხეთი - 1 447.
- ▶ თურქეთი - 1 226.
- ▶ აზერბაიჯანი 1 192.
- ▶ აშშ - 1 182.

წყარო: საქართველოს მიგრაციის სამთავრობო კომისიის მონაცემები

**საქართველოში უცხოელი მოქალაქეებისთვის გაცემული მუდმივი ბინადრობის მოწმობის შესახებ
ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით:**

- ▶ რუსეთი: 8 889, წილი 44%.
- ▶ აზერბაიჯანი: 3189, წილი 16%.
- ▶ სომხეთი: 2 211.
- ▶ უკრაინა: 1 718.
- ▶ სხვა ქვეყნის მოქალაქეები: 3 946.

წყარო: საქართველოს მიგრაციის სამთავრობო კომისიის მონაცემები

**საქართველოში უცხოელი მოქალაქეებისთვის გაცემული დროებითი ბინადრობის მოწმობის
შესახებ ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით:**

- ▶ ირანი: 7 279.
- ▶ ინდოეთი: 5 951.
- ▶ რუსეთი: 4 028.

წყარო: საქართველოს მიგრაციის სამთავრობო კომისიის მონაცემები